ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5046448

ნომერი: AR1762518

თარიღი : 24.07.2020

გაცემის თარიღი : 30.07.2020

გაცნობის თარიღი : 30.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი გოხელაშვილი პ/ნ 59004001068
- გოთუა ქ #12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 24 ივლისს №AR1762518 განცხადებით მომართადიმიტრი გოხელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის2019 წლის

22 აპრილის №4468051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 აპრილის №4457933 ბრძანებით შეთანხმდაქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №57-ში არსებულ მიწისნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.041.018) მრავალფუნქციური კომპლექსისარქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის№4468051 ბრძანებითზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადაგანისაზღვრა 2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრისჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური (საცხოვრებელი-სასტუმრო) კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებისთანახმად, სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში შეცდომითიქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: “მშენებლობისვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრისჩათვლით” ნაცვლად დაფიქსირდა “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 აპრილიდან2020 წლის 22 აპრილის ჩათვლით“.
საპროექტო დოკუმენტაციისგადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 17 აპრილის№AR1675927 განცხადებაზეწარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელებისკალენდარული გრაფიკი 33 თვეზე და 2019 წლის 22 აპრილის№4468051 ბრძანებითმშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო2019 წლის 22 აპრილიდან 2022 წლის 22 იანვრის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმამიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში ტექნიკურიშეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებაში დაბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდესშემდეგი რედაქციით: ,,2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 აპრილიდან2022 წლის 22 იანვრის ჩათვლით”.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანება დანარჩენნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 აპრილის №4468051 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილიწესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.